

დღიურის წერა! რამდენი სხვადასხვა ასოციაცია, ერთმანეთთან „ვერ-მოსატანი“ და ურთიერთგამომრიცხავიც კი, შეიძლება გაგიჩნდეს ამ, ერთი მხრივ, ეპიგონური და - დღევანდელ კონტექსტში - ბანალური საქმიანობის წარმოდგენით, მეორე მხრივ კი იმის პატივისცემით, თუ როგორი აღმაფრენით გადამქონდა ხოლმე ყოვლად სანუკვარი ფიქრები ფურცელზე, როცა შეყვარებული ტინეიჯერი ვიყავი და პირველად განვიცდიდი სტუდენტობას და მასთან დაკავშირებულ ყოვლად ემოციურ ცხოვრებას, თავისი ინტენსივობით დღემდე რომ ყველაფერს ჩრდილავს.. იმ დროს იყო სწორედ, რომ ბავშვობაში დავალბებული, თითქმის დაძალბებული ყოველდღიურობა უცებ ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადაიქცა. დაძალბებული ადრე, ბავშვობაში - წერა რომ მესწავლა; ამისთვის მევალეობდა ყოველ საღამოს დღის ამბების აღწერა და, მართლაც, ასე შევეჩვიე და შევიყვარე ეს საქმიანობა, კითხვის, თარგმანისა (ნებით!) და წერის გავლით მუსიკამდე რომ მიმიყვანა, როგორც აღმოჩნდა - საკმაოდ ლოგიკურად. ორიოდე გულისამაჩუყებელი ფრაზეოლოგიური და კალიგრაფიული ანაბეჭდი მენსიერებას, ბავშვობის ნოსტალგიით, კი შემოუნახავს, მაგრამ - ეს არის და ეს.

სტუდენტობის დროს კი, იმ პირველი, მთავარი და ყველაზე ნამდვილი სტუდენტობის დროს, ეს დღიურის წერა, ლელა ალექსიძესთან მეგობრობა, კლასიკური ფილოლოგია, ლათინური, პოეზია, მუსიკა, სიყვარული - თავბრუდამხვევ, სიზმარივით დამახსოვრებულ სინამდვილედ მაქვს შემორჩენილი; „დღიურის ადრესატის დისკურსმა“, იმ დასკვნამდე მისვლით, რომ, ბოლოსდაბოლოს, დღიურს, რაც უნდა ინტიმური იყოს, მაინც ჰყავს ადრესატი, თუნდაც გაუცნობიერებელი, ბოლოს სულაც ეპისტოლარულ ჟანრში გადაიყვანა ამ სანუკვარი ნაწერების ერთმანეთისთვის განდობა (მღელვარებით!) და, შეიძლება ითქვას, მაშინ მოხდა ჩემი დამშვიდობება ამ საქმიანობასთან. მას მერე დღიური არ დამიწერია. შეიძლება ერთიორჯერღა მომსვლია მეტნაკლებად ემოციური შეხვედრა ამ ტიპის ნაწერებთან (ლიტერატურას არ ვგულისხმობ); არ დამავიწყდება, როგორ შემძრა, როცა დედაჩემის დაკრძალვის მერე, გვიანსაღამოს, უცებ მის მაგიდაზე დარჩენილი რვეული გადავფურცლე და ორიოდე წინადადებამ თავზარი დამცა, ისეთი სიძლიერით მაგრძნობინა ამ უკვე მძიმე ავადმყოფი ქალის სიხარული ჩვენით - მისი ოჯახით, სახლით კახეთში, რომელიც პრაქტიკულად თვითონ ააშენა, იმით, თუ როგორ გვიყვარს ჩვენ - „ბიჭებს“ - იქაურობა...

და უცებ უნლა, ნიშნისმოგებასავით, „თავისუფლების დღიურების“ ეს მომართვა!.. მარინამ მკითხა და პირდაპირ დავთანხმდი, თუმცა შემეძლო მომემიწეებინა ათასი რამ, მოუცლოლობა, დღიურის წერასთან ჩემი დღევანდელი დამოკიდებულება, შიში, არაგულწრფელი კეკლოუცობა არ გამოვიდეს-მეთქი და ეგეთები. ამის ნაცვლად - მაშინვე დავთანხმდი. ორიოდ კვირის წინ, ბრაზილიაში მივდივარ, მოვიკრებ ძალას, ემოციას და მერე კარგ, შედარებით მოცლილ სიტუაციას შევარჩევ ამისთვის-მეთქი.

აღმოჩნდა, რომ ამ კვირაზე უფრო „მოცლილ“ და ხელსაყრელ სიტუაციას ძნელად თუ მოვქსნებდი უახლოეს მომავალში: ბრაზილიიდან დაბრუნებულს ორიოდ საათი მეძინა და დღეს საღამოს ისევ თვითმფრინავში ჩავჯექი და იტალიაში გამოვფრინდი; ჯეტ-ლევი კი ცოტა „დავაბალანსესავით“ 7-საათიანი განსხვავება 4-მდე დავიყვანე, მაგრამ ისე დავტოვე ტოტო და ზურაბი, რომ პრაქტიკულად ვერც დაველაპარაკე, ბრაზილიის ამბები მაინც რომ მუამბა. ტოტო, უკვე გადაღლილი ჩემი პერმანენტული დეფიციტით, ზურაბი - ჯერ კიდევ სუსტად, რადგან ფილტვების ანთება გადაუტანია ჩემს იქ არყოფნაში. არც მე ვარ დიდად დასვენებული, და მთელ ამ აღმაფრენას და ენთუზიაზმს, რომლითაც ვიყავი ნატალში მსოფლიო მუსიკის შეკრებაზე და რომლითაც უნლა სიენაში მოვფრინავ - აქაური ჯაზის აკადემიასთან თანამშრომლობის კონტექსტში, ხინჯად ახლავს მოუსწრებლობის, დაღლილობის, მღელვარების, კითხვისნიშნების ბლანტი მასა, რომლის დალაგებას და გამოსწორებას დროც სჭირდება, ენერჯიაც და სიმშვიდეც...

23 იანვარი, ორშაბათი

ეს ფეისბუკზე დავწერე და ბარემ გადმოვიტან უცვლელად:

„ნაბრაზილიები, ჯეტლეგით გათანგული, მცირე შუალედებით 30-იოდესათნაფრენი, მოვლასლასდი ძველ, ნომარ-ნახიშტარ, დღეს კი - მითუმეტეს, დილის 4 საათზე - მშვიდ, უწყინარ, ლამაზ სიენაში, ყველაფერი დამავიწყა ჯერ ჰოტელის შესასვლელმა, მერე მარცხნივ, მერე მარჯვნივ, მერე კუთხის იქით გახედვამ, მერე ოთახმა, ერთი კვირით ჩემი რო უნდა ერქვას, მერე მტრედებმა რაფაზე გარედან, ხმაურით რომ გაფრთხილდნენ ფანჯრის გაღებაზე და უნლა სადღაც ზეოდან ისმის მათი ღუღუნი (დილააო), მე კი ვწევარ, ვერ ვიძინებ და ვიღრინებ სულელივით, love you all..“

მართლა ასე დავიძინე, ბედნიერად და ეხლაც უძინარი, მაგრამ მხიარული ვცდილობ, ავაწყო დღე; ოთხიოდე საათი მეძინა, ეხლა უნდა ვისაუზმო და მერე სკაიპით ჩავატარო კონსერვატორიის გაერთიანებული საბჭოების სხდომა: წლევანდელი ბიუჯეტი უნდა დავამტკიცოთ და შარშანდელის ანგარიში მოვისმინოთ კანცლერისგან. მშვენიერი დილაა და Piazza del Campo, დილის სუსხის მიუხედავად (ნატალის 31-გრადუსიანი მუდმივობის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება), დამითანხმებს რომ გარეთ ვისაუზმო და ვუყურო მის კოშკს, მოედანს, რომელზეც il palio, აქაური განთქმული დოღი, დღემდე სიენას მთავარი სანახაობაა წელიწადში ორჯერ.

საბჭოს სხდომა დიდად არ გაჯანჯლებულა, მაგრამ დავმძიმდი მაინც, მშობლიური პრობლემების ორომტრიალში რომ აღმოვჩნდი ისევ: არა, ვერც ბრაზილიაში ვიყავი მთლად არხეინად და ორიოდე ცხარე კომუნიკაცია იქიდანაც გახდა საჭირო, რომ ჩვენი არეული და ყოველ ჯერზე ახლებულად გადა-რეული ქვეყნის მორიგ პოლიტიკურ მიხვეულო-მოხვეულებს დავდგომოდით მედგრად. რა მძიმე ასატანია, როცა კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, უყურებ სასოწარკვეთილი, როგორ თელავს მატერიალური ან თუნდაც მისი ილუზია, ცრუ პრესპექტივა - სულიერს, ხელით ვერ-შესახებს, კომერციულად (ამჟამად) უინტერესოს და როგორ ათწლეულების მანძილზე არც ერთ მთავრობაში არ დაფიქრდება არავინ, რომ დაანებოს თავი „დღევანდელი კვერცხის“ ილუზიას, გამოიჩინოს ჭკუა და სინდისი, რომ დათესოს და არ შეუშინდეს იმას, რომ შეიძლება სხვამ მოიმკას მისი დათესილი, რადგან თუ არ დაითესა, ხომ მოსამკელიც არ იქნება არსდროს არაფერი! ასე გრძელდება ღლეტა, დაჩივება კულტურის და განათლების, ასე დაბნელება და მხოლოდ მომხმარებლური, მომხვეჭელური, „დეველოპერული“ მისწრაფებების მოედნად გადაიქცევა ეს უკვე ისედაც საკმაოდ ბნელი, თავის თავში უაზროდ შეყვარებული, დეზორიენტირებული და დაშინებული ქვეყანა...

კარგია, რომ დღეს არაფერი გვაქვს აკადემიაში, ხვალიდან აქვთ ჩვენებს გაკვეთლები, დღეს კი თავისუფალი დღეა, შეუძლიათ ქალქში ისეირნონ, ან სულაც ფლორენცია მოინახულონ; მეც მაქვს არჩევანი: ან ძილი ან საგამოცდო ნამუშევრების ნახვა...

24 იანვარი, სამშაბათი

სიენაში მეხუთედ ვარ და ეს ლაბირინთი ისევ მაოცებს: მიხვეულმოხვეული, ერთმანეთში გადახლართული ქუჩებითაც, მართლა უთვალავი როა ამ პატარა ქალაქში და იმითაც, რომ ადამიანი, ველოსიპედი, მოტოციკლი, მანქანა ისევე მშვიდად და უწყინარად მოძრაობს, როგორც 1000 წლის წინ კაცი, ცხენი და ურიკა იყო ერთმანეთში არეული. მანქანები ცოტაა, „უცხო“ მანქანა ვერ შემოდის, თუ უსაშველო თანხა არ გადაიხადა, ადგილობრივებიც ფეხით სიარულს ამჯობინებენ: ამ სილამაზის, სიძველის და სიმყუდროვის ქუჩებში მართლაც საუკეთესო არჩევანია; აი როგორ შეიძლება (და უნდა!) ქალაქის ძველი იერსახის შენარჩუნებაც და ამ ძველის შიგნით დღევანდელი ტექნოლოგიური სიტუაციის დამკვიდრებაც! როდის ისწავლიან ამას ჩვენთან, ან რომც ისწავლონ, შეძლებენ, მოაქციონ გაუმადლარი, უგემოვნო და უსინდისო ქართველი „დეველოპერები“ ამგვარივე ჩინოვნიკებითურთ, „დღევანდელი კვერცხის“ მეტი არაფერი რომ არ ადარდებთ, თუნდაც თავისივე შვილების ჯანმრთელობა? არა, „თავისიანებს“ სხვაგან დაასვენებენ, საზღვარგარეთ, ეს აქ დარჩენილებმა იკითხონ, ასფალტის, ბეტონის და მანქანების ჯუნგლებში რომ უწევთ შვილების გაზრდა, იმ კატასროფული პერსპექტივით, რასაც ჯუნგლის გარემო და მისი კანონი ასწავლის ამ უჰაერო და უსახსრო სიბნელეში: მომხვეჭელობას, ერთმანეთის ჭამას, დღევანდელი დღით თავკერძა ცხოვრებას.

ისევ მოთქმა და წუწუნის მომერია, არადა ნახევარი საათის წინ ვსეირნობდი შუასაუკუნეების ქალაქში, მუზეუმში შეუსვლელად და წიგნის გადაუშლელადაც კი ათასი რამ შეიძლება გაიგო მისი აგებულების, ისტორიის, ტრადიციის შესახებ, ლიტერატურის პერსონაჟებიც კი, თუნდაც ერთი სიტყვით სადმე ნახეები, არ ჰყავთ დატოვებული უყურადღებოდ. აი რა ლამაზი აბრაა



Via dei Tolomei-ზე დანტე ალიგიერის ციტატით პიას შესახებ, აქ რომ დაბადებულა და მარემაში გამოხალმებია სიცოცხლეს:

სალამოს ჯემმა დაამთავრა დღე: პატარა ძველი ქალაქის ჯაზკლუბს Un Tubo ჰქვია და სიენას ჯაზის აკადემიის სტუდენტების

მთავარი საექსპერიმენტო სივრცეა: დღესაც, პირველ სეტს სწორედ იქაური სტუდენტების ბენდი უკრავდა, ფართო ჰორიზონტის, ნიჭიერი და ენთუზიასტური ახალგაზრდების კვარტეტი, არც სტილისტური ბარიერები რომ ანაღვლებთ დიდად და თავის „ნაპოვნშიც“ თავდაჯერებულ მუსიკალურ სტიქიმენტს და სიმწიფეს ავლენენ. ესენიც, და მერე ჯემს შემოერთებულებიც (ჩემი ჩათვლით) ყოვლად მეგობრულ ატმოსფეროში, სხვადასხვა ასაკის და განვითარების დონის მუსიკოსების მართლაც რომ შესაშურ ერთობაში აღმოვჩნდით, ახალბედებისთვის ანგარიშის გაწევით, გამხნევებით, სტუმრის პატივისცემით და სხვაფრივაც კმაყოფილი და ყურადღებიანი, სხადასხვა ასაკის მსმენელით. ისე - სტუმარიც აღარ გვეთქმის მგონი უკვე: თანამშრომლობის მეორე წელი იწურება ჩვენს კონსერვატორიასა და სიენას ჯაზის აკადემიას შორის, პედაგოგების რეგულარული მიმოსვლით, მასტერკლასებით, უკვე მეოთხე ჩვენი სტუდენტი სწავლობს აქ; ამგვარი ერთ ან ორსემესტრიანი სასწავლო „გასვლა“ თავისი მშობლიური სიტუაციიდან, ევროპული საგანმანათლებლო თანამშრომლობის ერაზმუს პლუსის სახელით ცნობილმა გაფართოებამ რომ მოუტანა საქართველოს, დღევანდელი ჩვენი სავალალო სიტუაციის ერთერთი იშვიათი ნათელი წერტილი მგონია, თუ სულაც ერთადერთი არა. რა ბედნიერებაა, რომ ამ შესაძლებლობის გამომყენებელი ენთუზიასტური და საქმეში ზედმიწევნით ჩახედული პროფესიონალებიც აღმოაჩნდა კონსერვატორიას. რამდენიც არ უნდა ვიწუწუნოთ უსახსრობაზე, ხანდაზმულ პროფესორთა ჯეროვანი პენსიის შეუძლებლობაზე სახელმწიფოს მხრიდან, ამის გამო თაობათა ცვლის უკიდურეს სიძნელეზე და ასე ჯაჭვად ერთმანეთზე გადაბმულ პრობლემებზე, ცოტა რამ საამაყო მაინც გვაქვს და საერთაშორისო ურთიერთობები მგონია ის მთავარი საამაყო. ნანა შარიქაძის და მისი დეპარტამენტის ეს ძალისხმევაა სწორედ, რასაც ემყარება ყველა დანარჩენი კომპონენტის წინსვლა კონსერვატორიაში, აკადემიური იქნება, შემოქმედებითი თუ ტექნოლოგიური.

ჰო, ერთი რამ კიდევ მოხდა დღეს, აღნიშვნის ღირსი: ჯემზე მივიჩქარი, უფრო სწორად - ირაკლის და ზურას უნდა შევხვდე პროტომევახშის, ""-ის ძეგლთან, ზურამ რომ გობსეკი დაარქვა ამასობაში... სიენას ქუჩები ხშირადაა ხოლომე უკაცრიელი, მთავარი 1000წლოვანი ქუჩაც კი ხანდახან, შეღამებულზე, შუასაუკუნეების თუ უმბერტო ეკოს თუ ულენშპიგელის ასოციაციებს აჩენს, კაპიუმონი, თავზე რომ მხურავს, კიდევ უფრო ამდაფრებს ამ განცდას და მივაბიჯებ ასე, ექოდ მომდევს ჩემივე ფეხის ხმა, სხვა ჟღერადი ფანტასმებით

შეზავებული, რომ უცებ ახალგაზრდა გოგო ჩამივლის შორიანლო ძაღლით. გვიან ვამჩნევ, რომ ქართულად ლაპარაკობს მობილურით. დაუფიქრებლად მოვტრიალდი და მივაძახე ავტომაურად, ქართული მომესმა მეთქი, თუ რაღაც გაჩერდა, ცოტა ცივად მოტრიალდა, მე გავცვანი, არ მეგონა ქართველები ამ ქალაქში-მეთქი, ჯემზე დავპატიჟე; უნ ტუბო ვიცი, სულ დავდივარ იქ, მაგრამ დღეს ვერ შევძლებო. შევხვდი ჩემებს და მივედით ჯემზე; არ მოვიდა ესეც უცებ თავის მეგობართან ერთად?! სასიამოვნო საღამო გამოვიდა, საუბრებით, თავისი ამბების მოყოლით, დაკვრით; ერთმა ნუნსმა კი ცოტა დამაფიქრა: ლაპარაკში ახსენა, რომ ცოტა არ ესიამოვნა, ქართველი რომ შეეხმინა (აკი შევატყვე, რომ ცოტა დაძაბული მოტრიალდა!) და რომ რას წარმოიდგენდა, რომ ჩვენა ვართ და არა ვიღაც ვიგინდარა ქართველები, რომლებითაც თურმე სავსეა იქაურობა... დამანადვლიანა, ცოტა არ იყოს, ამ დამოკიდებლებამ, იქნებ სრულიად გამართლებულმაც, როცა ამდენი სათაკილო და გულისგასახეთქი ამბები მოგვდის ქართველებზე უცხოეთში... რა დასანანია, რომ ჯერ ეჭვია ხოლმე და მერე მისი გაქარწყლება... მგონია, რომ პირიქით ჯობს. კი არაფერი, მერე უცებ - თურმე ზურაბ კიკნაძის შვილი ყოფილხარო, ჩემი საყვარელი ლექტორისო, ვიმხიარულეთ ბევრი, მაგრამ ეს ნუნსი, უსიამოვნოდ საყურადღებო, მანამდე არ შემენიშნა ქართველებში, მთელს მსოფლიოში რომ გაფანტულან ამასობაში.

25 იანვარი, ოთხშაბათი

ჩვენები ასწავლიან Siena Jazz-ში! ფოლკლორისტები - დათო, ნატო და ოთარი - ქართულ მუსიკას, ჯაზმენები - ირაკლი და ზურა - ჯაზს... ზურა რამიშვილის შესახებ უკვე იციან აქაურმა პიანისტებმა: ბექას და პაპუნას მასწავლებლის სახელი ნელ-ნელა მოედო ჯაზის კერებს: სტუდენტები ხომ მოძრაობენ, ურთიერთობენ, ხანდახან ბევრად მეტს, ვიდრე მათი პედაგოგები, ამიტომ პაპუნას თუ ვინმე ბერკლიში შეხვედრია, მისი დაკვრით აღტაცებულს, ცხადია მასწავლებლის სახელიც გაუგია და მერე ისიც, რომ თურმე სიენაში ჩადის ხოლმე ეს კაცი ბოლო დროა... ასე იყო წინა ჩამოსვლაზეც, წინის წინაზეც; ინტერესი იზრდება; წელს უკვე ფორტეპიანოს ერთ-ერთი პროფესორი სთავაზობს ზურას უფრო ინტენსიურ თანაშრომლობას სამომავლოდ და და ასე განივრცობა ხოლმე თვალსაწიერი, ღრმავდება ურთიერთობები, სტუდენტების, პედაგოგების... დღევანდელი სწავლის არსიც და მთავარი

ხეირიც ხომ სწორედ ესაა - არა რომელიმე გურუზე მიწება და ამ გურუს ნააზრევში (რაც უნდა კარგი იყოს) ხარშვა სამუდამოდ, არამედ სწავლა ყველასგან, ყველაფრის, ნასწავლის გაზიარება და ამ გაზიარებით კიდევ უფრო სწავლა... ზურას ურთიერთობა ამ თავის აღზრდილებთან, მარტო საქართველოს საამაყოები რომ აღარ არიან და სრულყოფილებიან წევრებად რომ მოვლენიან ჯაზის სცენას ჯაზისვე სამშობლოში, დღემდე გრძელდება და, მგონი, სრულიად ახალ საფეხურზეა ასული: ვუყურებ ხოლმე, თუ როგორ დაისვამს არდადეგებზე ჩამოსულებს და, დაკვრის გარდა, წვრილად გამოკითხავს, თუ რას სწავლობენ, როგორ ისწავლება ესა თუ ის საგანი, რა მეთოდი აქვთ ამ თუ იმ ტექნიკის ათვისების, მეცადინეობის და ა. შ. და მახსენდება, როგორ ინტენსიურად მავალებდა მიხო შულლიაშვილი და ანგარიშივით მთხოვდა, მომეთხრო ყველაფერი, რასაც ახალს შევიძენდი, ლიუბეკში წასული; თვითონაც არასრდოს შეუწყვეტია ეს სწავლა, ძებნა, განვითარება და დამახვედრებდა ხოლმე სიურპრიზებს, გინდ საკომპოზიციო იდეების, გინდ მიღწევების ახლადათვისებული კომპიუტერის მუსიკალურ შესაძლებლობებში (მაშინ ახალი ხილი იყო და მე მაშინ ამას ვსწავლობდი გერმანიაში, მიხო კი ისე გამაკვირვებდა ხოლმე თავისი მიგნებებით, გამოანგარიშებულთ, გამოგონილით - გეგონებოდა, პირიქით იყო... ხოლმეს ვამბობ, მაგრამ ნახვით მხოლოდ ერთხელა ვნახე პირისპირ; წასვლიდან ექვსი წლის მანძილზე ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე ჩამოსვლა, ძირითადად - უსახსრობის გამო; ურთიერთობა ეგრეთწოდებული აუდიოწერილებით გვქონდა: ჩართავდა ხოლმე მაგნიტოფონს ჩაწერაზე და მებაასებოდა, მიზიარებდა, მასწავლიდა, მეკითხებოდა, კასეტას კი ვინმე გერმანიაში წამომსვლელს გამოატანდა ხოლმე. 1996 წლის ზაფხულში, როგორც იქნა, მოვახერხე ჩამოსვლა და ვინახულე, როგორც აღმოჩნდა - ბოლოჯერ: ნოემბერში გარდაიცვალა, გულით; ბედნიერების მწვერვალზე მყოფი, რადგან სოროსის ფონდის საშუალებით მოახერხა და პატარა სტუდია ჰქონდა მოწყობილი კონოსტუდია „კვალის“ შენობის ერთ ოთახში, იქ ატარებდა დღეებს და ღამეებს....

საღამოს ჩვენი იტალიელი კოლეგების, სიენა-ჯაზის პედაგოგებიდან ერთ-ერთის - ფრანჩესკოს ბენდის კონცერტია კლუბ Caccio & Pere-ში. მე ტუბოში გუშინდელ სტუდენტებს ვიყავი შეპირებული, რომ მივიდოდი დღევანდელი პროექტის მოსასმენად, რეპეტიციაზე მაინც. კიდევ კარგი, შევასრულე პირობა:

სულ სხვა სტილისტურ და ენობრივ ამპლუაში, ჯაზის და თანამედროვე კამერული მუსიკის ცოცხალ და საინტერესო ნარევეში აღმშოვნი, რომელსაც გუშინდელი გადარეული საქსოფონისტი, სულ ახალგაზრდა ბიჭი, ვირტუოზულად და ჯონ ზორნის თავდაჯერებით დირიჟორობდა; პარტიტურაც ვნახე, უცნაური და აგრეთვე საინტერესო ნაწავი გრაფიკული და კონვენციური ნოტაციის, მომუხსველად მჟღერი; მუსიკოსები მარტო ჯაზმენები არ იყვნენ: სიენას კლასიკური მუსიკის აკადემიაც აქვს შესანიშნავი; ამ საღამოს ვნახე, თუ როგორ ერთად არიან ერთის და მეორის სტუდენტები: ერთად უკრავენ, ერთად ვითარდებიან, ერთმანეთისგან სწავლობენ, ექსპერიმენტობენ და ასე ყალიბდებიან გონებაგახსნილ, აქტიურ და ენთუზიასტურ მუსიკოსებად... "სხვადასხვაობა" მათთვის მხოლოდ მიზეზი და იმპულსია ერთად ყოფნისთვის... ჩვენებიც არიან ერთად: მეგობრობენ, ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო „ერთად არიან“, მაგრამ მუსკალურად, შემოქმედებითი მეგობრობის თვალსაზრისით, დიდი კედელი აღმართულა მათ საქმიანობებს შორის და ამ კედლის იქით გადახედვის სურვილიც კი არ უჩნდება თითქოს ზოგს. ოთხიოდე წლის წინ დაარსებული „თანამედროვე მუსიკის ანსამბლი“, ამერიკიდან დაბრუნებულ ნინო ჟვანიას რომ გადავაბარე და შესაბამისი არჩევითი კურსს დღემდე უძღვება, არ კმარა, როგორც ჩანს: რაღაც უფრო თვითონ ამ მუსიკას უჭირს ახალგაზრდა ადამიანების გულებთან მისვლა: თავისუფლად სარგებლობენ არა გუშინდელი ან გუშინდელი - დღევანდელი და ლამის ხვალისდელი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებებით, შემოქმედებითი აზროვნებით, ესთეტიკით, ენით კი - მე-19 საუკუნეს ვერ გადმოსცილებიან, უფრო სწორად ევროპული მუსიკის ისტორიის რაღაც 200-წლოვან მონაკვეთს; საბჭოთა დრო დიდი ხნის წასული გვგონია, მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედთა უმრავლესობა ჯერ კიდევ იმ ღირებულებებშია ჩარჩენილი, ასე მგონია, თან, რაც უფრო მეტად იჩემებს აკადემიურობას და მალლა სწევს ცხვირს - მით უფრო...

ფრანჩესკოსთან კიდევ ერთი დიდი სიხარული მელოდა: დევიდ ბოატო, (სახელის იტალიურ ვერსიას აპროტესტებს რატმლაც) ვირტუოზი მესაყვირე, მოჩანჩალდა, როგორც იქნა, ვენეციიდან, გზაში მანქანა გაჰფუჭებოდა.. ბოლო ნომერზე დაგვიძახა ფრანჩესკომ ბუნდში, შევუერთდით და 2 საათამდე ისეთი თავდავიწყებით ვუკრავდით, კლუბის პატრონებს ჩვენი ძალით გამოყრდა დარჩენოდათ.. როგორი გადამდებია, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე და

ენტუზიასტი, ბავშვივით გულუბრყვილო, კეთილი და მოხულოგნო ჯანმენი რომ მოვა ხოლმე დაკვრის ხასიათზე, ეს დევიდი კი სულ ამ მდგომარეობაში ვიცი, გინდ საქართველოში, გინდ იტალიაში...

26 იანვარი, ხუთშაბათი

დილიდან სტუდენტების ნამუშევრებს ვუზივარ - მათგან ზოგი ერაზმუსზე აპირებს საბუთების შეტანას და ის შედეგი მაინც უნდა გადავცე დეკანს, რომ საგანი ჩაბარებული აქვთ; საბოლოო შეფასება ორ-სამ დღეს კიდევ მოიცდის. პირველკურსელები მაკვირვებენ: ასე მოტივირებული და დისციპლინირებული ტექნოლოგები მანამდე არ მახსოვს. არა, ყოველ კურსს ჰყავს თავისი მოწინავე ჯგუფი, მაგრამ ასე მასიურად კარგი და მოტივირებული 25 ახალგაზრდა ერთ ჯგუფად - უკვე რაღაც წინსვლას შეიძლება ნიშნავდეს... ეს ტექნოლოგიის მიმართულება, რომელზე მიღებაც კონსერვატორიისთვის აქამდე უცხო პრინციპით - შემოქმედებითი ტურის გარეშე, მხოლოდ ეროვნული გამოცდების შედეგით ხდება, თავიდან ცოტა შემაშფოთებლად დაიწყო: ჯგუფის ნახევარმა მესამე კურსამდე ვერ მიაღწია; მეორე წლის მიღება - ცოტა უკეთესი იყო, მაგრამ იქაც ბევრი გამოაკლდა გზადაგზა; მესამე წელი კიდევ ოდნავ უკეთესი აღმოჩნდა, ხოლო ეს მეოთხე, ეხლა რომ პირველკურსელები არიან, მართლა გამოირჩევა მიზანსწრაფულობით, დისციპლინით და პასუხისმგებლობით საქმისადმი დამოკიდებულებაში. ვნახოთ, რას ნიშნავს ეს და როგორ აისახება ეს მუსიკის მოსაზღვრე სფეროებზე, პირველ რიგში - ტექნოლოგიასა და ჟურნალისტიკაზე, სადაც უმძიმესი სიტუაციაა: მუსიკის კრიტიკა, როგორც აზროვნების, ისე ჟურნალისტიკის თვალსაზრისით, ისევე არ არსებობს დღევანდელ საქართველოში, როგორც ჟღერადი სიტუაციაა მთელს საქართველოში მიშვებული თავის ნებაზე, სპონტანური, საქმის უცოდინარი კომერსანტების ხელში: არ არსებობს აუდიოინჟინერიის, სივრცის გახმოვანების და ზოგადად, მუსიკის ტექნოლოგიის - ამ ხელობის დაუფლების არანაირი მოთხოვნილება; გახმოვანებას განაგებს ის, ვინც მოახერხებს და შეიძლება ძვირ, ხანდახან შეუფერებლად მძლავრ აკუსტიკურ სისტემას, იღებს ამაში უძვირეს ქირას და ახმოვანებს ყოვლად გაუგონარი სიჯიუტით ისე, როგორც მას მიაჩნია სწორად, არ დაგიდევს არც მუსიკის სტილს, არც აკუსტიკურ სიტუაციას, არც იმას, ესმის თუ არა მსმენელს მიკროფონში ნალაპარაკევი და საერთოდ, გადაურჩება თუ არა დაყრუებას. ამისთანა არაკულტივირებული, უკოტროლო

და თავის ნებაზე მიშვებული სფერო საქართველოს დღებვანდელ სინამდვილეში კიდევ ბევრია, მაგრამ ნელ-ნელა თუ არ მოევლო ყველას სათითაოდ - კატასტროფის წინაშე ვართ.

სალამოს დევიდს შევხვდი ისევ; ერთად ვივანშმეთ და ვუამბეთ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი. ამისთანა კლასის მუსიკოსს მაინც მოსძალებია საკმაო პრობლემები, ფინანსური, ჯანმრთელობის, სულიერი; მომხმარებლური საზოგადოება და საბაზრო, გამსაღებლური დამოკიდებულება მუსკასთან მეტ-ნაკლებად ყველა საზოგადოების ხარვეზია დღეს, უბრალოდ, განვითარებულ ქვეყნებს, პირველ რიგში - ევროპას, სახელმწიფო ბერკეტებიც მოუმარჯვებია ამის წინააღმდეგ, ჩვენი ველური კაპიტალიზმი კი დღემდე რჩება ჩქარ მოგებაზე, მომხმარებლის გემოვნების კულტივირების ნაცვლად მის ინტელექტუალურ და ესთეტიკურ სიზარმაცეზე ორიენტირებული ფსევდოკულტურა, ენტერტინმენტი, შოუბიზნესი და - უტვინო სახელმწიფო პოლიტიკის მიერ ფულის ჩაყრა (გადაყრა) სფეროში, რომელიც თავის თავს ისედაც დააფინანსებს, რადგან მდარე და პრიმიტიულ ენტერტინმენტს მუშტარი არასდროსს მოაკლდება, მით უმეტეს - ჩვენი უკონტროლო, უსტილო, ქაოტურ-სპონტანური და გაბაზრებული მედიის პირობებში, შინაარსს რომ აუფასურებს, ენას რომ ამანინჯებს, მორალიც, ეთიკაც და მთელი საზოგადოებაც რომ არად ენაღვლება არც ერთი ნიუსის მომზადების დროს, სამაგიეროდ კი სრულიად უკულტუროდ აფეტიშებს ცრუსიწმინდეებს, ფსევდოეტიკებს და ვითომტრადიციას. კიდევ კარგი, იუმორის ნატამალიც, ნამდვილი ხელოვნების საჭიროებაც და მის მატარებელთა არცთუ მცირე თემიც ბჟუტავს ხოლმე ამ ზოგადად რუხ თუ შავბნელ სმოგში, კიდევ კარგი, სტუდენტები არსებობენ, რომელთა სიტყვა-პასუხი, აზროვნება და ქცევა იმედის ნაპერწკალსაც არ აქრობს, რომ დრო თავისას იზამს, ამათგან ზოგმა იქნებ მთავრობისკენაც ქნას პირი და ნელ-ნელა შეიცვალოს თაობაც, ზნეობაც და საზოგადოებაც იმ უკეთესისკენ, თეორიულად რომ ყველამ ვიცით და ცხოვრებაში რომ ხშირად საწინააღმდეგოდ ვიქცევით, სხვების მიბაძვით (მე რა, სულელი ვარ, ის მძღოლი თუ უწესოდ გადაუსწრებს და წინ ჩაუდგება რიგს, ან უსინდისოდ გამოენთება უკან სასწრაფო დახმარების მანქანას, რომ სხვებზე წინ აღმჩნდეს?!).

დღიურის "ადრესატობაზე" კი არა, უკვე საჯაროობაზე დავიქრდი: რით განსხვავდება ჩემი ეხლანდელი ნაწერი ვინმე ბლოგერის ან სულაც ფეისბუკის პოსტებისგან? რაღა ინტიმურობაზე, სანუკვარის განდობაზეა ლაპარაკი? დღეს

მომხდარი ორიოდუ ფაქტის ხსენებას მოჰყვება სპონტანური დილეტანტური პუბლიცისტიკა და ზნეობრივი სტიტიმენტები; ტრიბუნა უფრო გამოდის, საქადაგო, საკეკლუცო; რა სანუკვარი, რის დღიური? :)
ეს დღევ გადავაგორეთ, ძილი ნებისა...

27 იანვარი

სტუდენტებს კიდევ ორი დღე მივეცი ნამუშევრების დასამთავრებლად, ერანზმუსის აპლიკანტების ამბავი მოვაგვარეთ, აკადემიაში ვარ და ერთიორ საერანზმუსო ფორმალობასაც ვავსებთ, გამოგვრჩენია და შარიქაძემ შავი დღე გვაყარა... :დ

ეხლავა გავაცნობიერე, რომ უკვე პარასკევია და ხვალ ვბრუნდები! რა მალე გაირბინა ამ დღეებმა და რამდენი საქმე ვერ მოვასწარი! ახალი ნაწარმოები მხოლოდ დავიწყე (ახალი ქართული ანსამბლი დაარსდა Georgia Modern, დიდი გეგმები გვაქვს!), სტუდენტების ნამუშევრები ბოლომდე ვერ ვნახე, სახელმძღვანელო კი კარგა წინ წავწიე, მაგრამ ბოლო მასაც ვერ გამოვუჩინე... დავემშვიდობები აქაურ კოლეგებს - მართლაც შესანიშნავი ხალხია, გულითადი, მომხმენი, დაუზარელი; კარგი თანამშრომლობა გვაქვს!...

ცოტა წავუძინე და ეხლა დანარჩენებს უნდა შევხვდე, ერთხელაც რომ ვივახშმობთ ყველამ ერთად.

ნატო ზუმბაძემ იმისთანა შაირები გამოგვითქვა სიენაში წინა ჩამოსვლის შესახებ, ტან ამ ყველაფერს საერთაშორისო დეპარტამენტისადმი რეპორტის სახე მისცა, კახურად აქცენტუირებული დაბალი შაირით, რომ მთელი საღამოა ვხარხარებ... მოუთმენლად ველი პუბლიკაციას ფანდურის თანხლებით....

28 იანვარი, შაბათი

თვითმფრინავში ვზივარ და - "მგზავრის წერილების" ციტატებს არ მოვყვები ეხლა, ასე პათეტიურად არა ვარ განწყობილი, მაგრამ - მომნატრებია თბილისიც, ოჯახიც, კონსერვატორიაც, სტუდენტებიც, ორხევის სკოლის საქსოფონისტებიც, ძალიან მომენატრა ჩემი კვინტეტი, მთელი ამ დროის მანძილზე დაქსაქსულები ვიყავით: მე და ნიკუშა ბრაზილიაში, მე და ირაკლი - იტალიაში, ლაშიკო -

ქუთაისში, მიშოც დასვენებას აპირებდა, მაგრამ ვინ აცალა, მგონი ყოველდღე უკრავდა სხვადასხვა კლუბში, სხვადასხვა ფორმაციაში; ერთი კარგი რამე კი ხდება ამ თბილისში, ამ ჯაზის თავს: ჯაზკლუბი კი ისევ არც ერთი არა გვაქვს, მაგრამ იმდენი კაფე და რესტორანი დაინტერესდა ჯაზით, რომ პრაქტიკულად ჩვენი ყველა სტუდენტი დასაქმებულია და კიდევ არ ჰყოფნით! ამის მნახველი კოლეგები, ევროპელებიც, ამერიკელებიც შურით და აღტაცებით გვიყურებენ და - ჩვენ ეგეთ რამეზე ვერც კი ვოცნებობთო, მაიკ ტრეისი გვეუბნება, ლუივილის ჯაზის სკოლის პროფესორი, დევიდიც უყვებოდა გუშინწინ იტალიელებს, საქართველოში რომ ვიყავი, ყოველდღე დაკვრა გვქონდაო! რაღაცეები ჩვენც გვაქვს სატრაბახო... აჰა!... :)